04/12/2025

MES 4 25 0001729238

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 20.11.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 14:45 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და ასკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწ ესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება:
ეკატერინე კიბაბიძე - გაერთიანების დირექტორი;
სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი:
ნანა ხვედელიანი - - საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი;
სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღი:
ნუნუ გოცირიძე - საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი;

2.ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება:

დარეჯან ელიაძე - გაერთიანების დირექტორი;
ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი:
შორენა ჯიბლაძე - ბაღის უფროსი;
ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების სოფელ ტყვირის
საბავშვო ბაღი:
მანანა ჩიტაია - ბაღის უფროსი;
ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი:
შორენა კილასონია - ბაღის უფროსი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ანდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი):
ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღი):
ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი):
დარეჯან ზარანდია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე ზარანდია - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი;

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი):
დარეჯან ზარანდია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარინე ზარანდია - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი;

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღი):
დარეჯან ზარანდია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მარინე ზარანდია - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი)- ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღი) - ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3.ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის) განხილვა;

5. ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.
შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი)
ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ განაცხადა, რომ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 14. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაცია გაიცა ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ვინაიდან დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პრეზენტაციასა და დასკვნის პროექტში არსებობს რიგი საყურადღებო დეტალები, რომლებიც დაწესებულებას აქვს მოსაწესრიგებელი.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მართლაც ფიქსირდებოდა დეტალური გაწერის პრობლემები, ჰქონდათ დარღვეული თანმიმდევრობა. მისივე თქმით, ხარვეზების გამოსწორებისათვის დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა, მე-4 სტანდარტის ფარგლებში საგანგებო სიტუაციებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა თუ არა შესაბამისი სამსახურისთვის მიმართული.
ექსპერტმა ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნული მიმართვა ჰქონდა გაკეთებული და პროცესი წარმოებაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვების დასმის თაობაზე.

საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე დაინტერესდა იგეგმებოდა თუ არა საბავშვო ბაღის ეზოს სტანდარტის შესაბამისად მოწყობა.
ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ დააზუსტა, რომ ბაღის ეზო ამ ეტაპზე არ შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, თუმცა საკითხზე მუშაობა დაწყებულია, აღნიშნული საკითხი გაწერილია შესაბამისობის გეგმაში.
საბჭოს წევრმა, ნატო შეროზიამ დასვა კითხვა დოკუმენტებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ უპასუხა, რომ მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებდა სრულყოფასა და დახვეწას. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 10:37
დასრულების დრო -10:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5

პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ხვანჭკარის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 10 ოქტომბერისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ბუგეულის საბავშ ვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე- კაკაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღიშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 17. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების

შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის პრობლემური საკითხის გათვალისწინებით, თუ რა ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსი აქვს დაწესებულებას, გამოკვეთილია თუ არა შესაძლებლობა ორი სააღმზრდელო სივრცის მოწყობისა და საჭირო ხდება თუ არა დამატებითი საშტატო ერთეულის დაშვება.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბავშვო ბაღს აქვს მატერიალური რესურსი დამატებითი სააღმზრდელო ჯგუფის მოსაწყობად, თუმცა საჭიროებს ადამიანური რესურსის დამატებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს საშტატო ნუსხით განსზღვრული ჰყავს მხოლოდ აღმზრდელი თუ განსაზღვრულია ასევე აღმზრდელის თანაშემწე.
გაერთიანების დირექტორმა, ეკატერინე კიბაბიძემ, განმარტა, რომ დასაქმებულია როგორც აღმზრდელი (სრულ განაკვეთი), ასევე აღმზრდელის თანაშემწე და ძიძა, რაც უზრუნველყოფს ერთი ჯგუფის სრულ ფუნქციონირებას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერსდა არსებობს თუ არა დამატებითი ტრენინგებისა და დახმარების საჭიროება სანიტარულ–ჰიგიენურ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სამოქმედო გეგმა რამდენად სრულად აღწერს აუცილებელ ნაბიჯებს; ასევე, აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბაღში შეშის ღუმელებით გათბობა და სანიტარულ კვანძებში კაბინების კარის არარსებობა.

გაერთიანების დირექტორმა, ეკატერინე კიბაბიძემ, უპასუხა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების მიმართულებით დამატებითი ტრენინგები წარმოადგენს აუცილებელობას. დაგეგმილია ტრენინგები ადმინისტრაციისა და ბაღის პერსონალისათვის. ხოლო გათბობის ნაწილში განმარტებულ იქნა, რომ ბუგეულში დიდწილად მოგვარებულია გაზმომარაგების საკითხი და როგორც კი პროცესი დასრულდება, ბაღი უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს დამატებით შეკითხვები აღარ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:30
დასრულების დრო - 11:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად,ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას (სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 10 ოქტომბრისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 25 ბავშვისათვის.

ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დარეჯან ზარამდიამ, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, მარიენე ბაიდაური, დაინტერესდა ფოტო-მასალაში ასახული სამზარეულოს სივრცეში განთავსებული კარადით.
კვების ექსპერტმა, სალომე ბოჭორიშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული კარადა აგამოიყენებოდა მხოლოდ ინვენტარის შესანახად.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ფოტო-მასალაში ნაჩვენები საპირფარეშოს პროვატულობის საკითხით.
სანიტარული-ჰიგიენური ნომრების ექსპერტმა, მარინე ზარანდიამ, განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას გააჩნია 24-თვიანი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შენობის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა უკვე მიმართული მუნიციპალიტეტისათვის.
გაერთიანების დირექტორმა, დარეჯან ელიაძემ, აღნიშნა, რომ რეაბილიტაცია დაგეგმილია და სამუშაოები მომავალი წლიდან დაიწყება.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰქონდა თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამის შესაბამისი ერთკვირიანი გეგმის ფორმა.

კურიკულუმის ექსპერტმა, ნინო მამრიკაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება ყველა ასაკობრივ ჯგუფთან მიმართებით იყენებს ერთსა და იმავე (ერთკვირიანი) გეგმის ფორმას.
საბჭოს წევრი, ნატო შეროზია, დაინტერესდა თუ რა ტიპის მხარდაჭერას საჭიროებს დაწესებულების სტატუსის მაძებელი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესში, განსაკუთრებით მე-4 სტანდარტის იმ კომპონენტების გათვალისწინებით, რომლებიც შეფასდა როგორც „ნაწილობრივად შესაბამისი“.
გაერთიანების დირექტორმა, დარეჯან ელიაძემ, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ძირითადად საჭიროებდა მატერიალურ მხარდაჭერას. აღნიშნული საკითხები დაიდენტიფიცირდა და გაიწერა შესაბამისობის გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს დამატებით შეკითხვები აღარ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 12:30
დასრულების დრო - 12:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სა აღმზრდელო**
დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების **ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გა ერთიანებას (სოფელ სეფიეთის საბავშვო ბაღი)** - 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 25-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 სექტემბრისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17-18 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 35 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელი საბავშო ბაღის შენობის ფართით რამდენად უზრუნველყოფდა გაეწია შესაბამისი მომსახურეობა მოთხოვნილი ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.
გაერთიანების დირექტორმა, დარეჯან ელიაძემ, აღნიშნა, რომ არსებული ფართი ვერ უზრუნველყოფდა 45 ბავშვის მომსახურებას და დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას.
ავტორიზაციის საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა შენობის ტექნიკური მდგომარეობით.
გაერთიანების დირექტორმა, დარეჯან ელიაძემ, აღნიშნა რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას, რაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა, თუ სად გადაანაწილებდნენ ბავშებს საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის დროს.
გაერთიანების ხელმძღვანელმა, დარეჯან ელიაძემ, განმარტა, რომ თემში, ნორიოს საბავშვო ბაღთან ძალიან ახლოს, არის სხვა საბავშვო ბაღი, რომელშიც გადანაწილდებიან ბავშები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:30
დასრულების დრო - 13:57

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 35-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი -4

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების დააყენა ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო

დაწესებულებების გაერთიანება აბაშის მუნიციპალიტეტს (სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 35-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 სექტემბრისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ. ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 21 და 22 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 25 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, დარეჯან ზარანდიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი

შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა რომ მუნიციპალიტეტის მერთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლთან შეთანხმებით შედგა შესაბამისობის გეგმა.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა სადეზინფექციო სამუშაოებთან და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა დაწესებულების სტატუსის მაძებელს ბიჯუჯეტში ასახული თანხა.
გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტშიც და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც გაწერილია შესაბამისი აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:17
დასრულების დრო - 14:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი -2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო

დაწესებულებების გაერთიანებას (სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 25-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 სექტემბრისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 14:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე